აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს
პროგრამის ,,ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა“
ფარგლებში გათვალისწინებული

აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების
ოლიმპიადის
ს ა კ ო ნ კ უ რ ს ო პ ი რ ო ბ ე ბ ი

მუხლი 1. ოლიმპიადის მიზანი

ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ხელშეწყობა და მათი შემოქმედებითი განვითარების წახალისება.

მუხლი 2. ოლიმპიადის ეტაპები

ოლიმპიადა წარიმართება ეტაპობრივად:

1) პირველი შესარჩევი ეტაპი ჩატარდება **2026 წლის 18-23 მაისს,** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თითოეულ მუნიციპალიტეტში, კერძოდ:
ხულოს და ***შუახევის*** მუნიციპალიტეტები - **2026 წლის 18 მაისი,** სსიპ - იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.
ხელვაჩაურის და ***ქედის*** მუნიციპალიტეტები - **2026 წლის 19 მაისი,** ა(ა)იპ - ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი.
ქობულეთის მუნიციპალიტეტი - **2026 წლის 20 მაისი,** ა(ა)იპ - ქობულეთის კულტურის ცენტრი.
ქალაქი ბათუმი - **2026 წლის 21 მაისი,** სსიპ - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,არსიანი".

2) მეორე ეტაპი ჩატარდება **2026 წლის 23 მაისს,** სსიპ - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ ,,არსიანში".

3) მესამე ეტაპი - გამარჯვებული ანსამბლების გალა კონცერტი და დაჯილდოების ცერემონიალი - ჩატარდება **2026 წლის 3 ივნისს,** სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში.

მუხლი 3. ოლიმპიადაში მონაწილეობის პირობები

1. ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ შემდეგ სუბიექტებს:

ა) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს - პროფესიულ სახელმწიფო ანსამბლებს, რომლებთანაც ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული სტუდიები (ანსამბლები);
ბ) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, კერძოდ:
ბ.ა) კულტურის ცენტრებსა და სკოლისგარეშე სახელოვნებო/სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომლებთანაც ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები ან

სალოტბარო სკოლები;
ბ.ბ) ორგანიზაციებს, რომელთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხალხური ქორეოგრაფია/ ხალხური სიმღერა.
2. პირველ ეტაპზე ოლიმპიადის მონაწილე ქორეოგრაფიული ანსამბლი შეასრულებს არაუმეტეს ერთ ცეკვას, სიმღერის გუნდი - ორ სიმღერას. ოლიმპიადაში მონაწილე ანსამბლების რეპერტუარი, ყოველ მომდევნო ეტაპზე უნდა იყოს უცვლელი.
3. სავალდებულოა ქორეოგრაფიული ანსამბლების მიერ წარმოდგენილი საცეკვაო ნომრის ცოცხალი მუსიკალური გაფორმება ტრადიციული ქართული საკრავებით ან/და სიმღერით.
4. მეორე ეტაპზე ქორეოგრაფიული ანსამბლი შეასრულებს ერთ ცეკვას, ხოლო სიმღერის გუნდი - ერთ სიმღერას, სადაც გამოვლინდება გამარჯვებული ანსამბლები.
5. მესამე ფინალურ ეტაპზე გაიმართება გამარჯვებული ანსამბლების გალა კონცერტი და დაჯილდოების ცერემონიალი.
6. ოლიმპიადაში მონაწილე ანსამბლების რაოდენობა არ არის შეზღუდული.
7. შემსრულებელთა ასაკი შემოიფარგლება 6-დან 18 წლის ჩათვლით.
8. ქორეოგრაფია გაიყოფა ორ ასაკობრივ ჯგუფად: 6-12 წელი და 13-18 წელი. ქორეოგრაფიული ანსამბლი ვალდებულია, განაცხადში მიუთითოს, რომელ ასაკობრივ კატეგორიაში სურს მონაწილეობა.
9. განაცხადში მითითებული მუსიკალური ნომრების საერთო საშემსრულებლო ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 4 წუთს, ხოლო ცეკვისა - 6 წუთს.
10. ჟიური იტოვებს უფლებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამარჯვებულების გამოვლენის დროს დააწესოს დამატებითი ნომინაციები.
11. 2025 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული გრან-პრის და პირველი ადგილის მფლობელი ანსამბლები მონაწილეობენ (სურვილის შემთხვევაში) კონკურსგარეშე მხოლოდ გალა კონცერტში.
12. განაცხადები მიიღება 2026 წლის 14 აპრილიდან 11 მაისის ჩათვლით ელექტრონულ ფოსტაზე - Info@mca.gov.ge ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში (მის: ქალაქი ბათუმი ბაქოს ქ N8).
13. განაცხადის წარმოდგენის გარეშე მონაწილე ანსამბლი ოლიმპიადაზე არ დაიშვება.
14. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ოლიმპიადის გამოცხადების თარიღის შემდგომი მდგომარეობით).

მუხლი 4. შეფასების წესი

1. ჟიური ოლიმპიადის I და II ეტაპზე საკონკურსო ნომერს შეაფასებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
ანსამბლი ოლიმპიადის ფინალში გადავა ჟიურის წევრების მიერ მინიჭებული ქულების დაჯამებით (საშუალო არითმეტიკული). თითოეული კრიტერიუმის მიხედვით მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა. I ეტაპზე გამსვლელი შეფასებაა სიმღერაში არანაკლებ 32 ქულა, ხოლო ცეკვაში - არანაკლებ 42 ქულა. II ეტაპზე სიმღერაში გამსვლელი შეფასებაა არანაკლებ 38 ქულა, ცეკვაში - არანაკლებ 48 ქულა.
2. მეორე ეტაპზე გამარჯვებულად გამოვლინდება საუკეთესო შედეგის (ქულების) მქონე 12 ანსამბლი და განისაზღვრება მათი საპრიზო ადგილები, აქედან ქორეოგრაფიაში 2 ასაკობრივ ჯგუფში, სულ 8 ანსამბლი (ქორეოგრაფიაში უმაღლესი ჯილდო - 2 გრანპრი, 2 პირველი, 2 მეორე და 2 მესამე ადგილი) და სიმღერაში 4 ანსამბლი (უმაღლესი ჯილდო 1 გრანპრი, 1 პირველი, 1 მეორე და 1 მესამე ადგილი).

მუხლი 5. გამარჯვებული ანსამბლების დაჯილდოება

1. ჟიურის შეფასების საფუძველზე გამოვლინდებიან გამარჯვებული ანსამბლები (როგორც ხალხურ სიმღერაში, ასევე ხალხურ ცეკვაში), რომლებსაც გადაეცემათ:

ა) **უმაღლესი ჯილდო „გრანპრი“** - დაუფინანსდებათ გასტროლი არაუმეტეს **40 000** ლარის ოდენობით ან გადაეცემათ ეროვნული სასცენო სამოსი საჭიროების შესაბამისად (სიმღერის ერთ ანსამბლსა და ცეკვის ორ ანსამბლს).
ბ) **პირველი საპრიზო ადგილი** - დაუფინანსდებათ გასტროლი არაუმეტეს **30 000** ლარის ოდენობით ან გადაეცემათ ეროვნული სასცენო სამოსი საჭიროების შესაბამისად (სიმღერის ერთ ანსამბლსა და ცეკვის ორ ანსამბლს).
გ) **მეორე საპრიზო ადგილი** - გადაეცემათ ფულადი ჯილდო - **3 750** ლარი (დარიცხვის გათვალისწინებით, სიმღერის ერთ ანსამბლს და ცეკვის ორ ანსამბლს).
დ) **მესამე საპრიზო ადგილი** - გადაეცემათ ფულადი ჯილდო - **3 125** ლარი (დარიცხვის გათვალისწინებით სიმღერის ერთ ანსამბლს და ცეკვის ორ ანსამბლს).
ფულადი ჯილდოს ოდენობა - **20 625** ლარი.
2. ოლიმპიადის ფარგლებში დაწესებული ფულადი ჯილდოს მიმღებია შესაბამისი გამარჯვებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელი (ქორეოგრაფი/ლოტბარი). რიგ შემთხვევაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელი თავად შეიძლება წარმოადგენდეს შესაბამისი ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელს.

სიმღერაში გამარჯვებულ ანსამბლებს, გარდა ჯილდოებისა, გადაეცემათ ტრადიციული ხალხური საკრავები.